



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2394
19/04/2018

2394-09-2-201804191247



*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ბატონ ლევან ჩხაიძის 2018 წლის 17 აპრილის N444 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიიჩნევს რომ მის სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული მეორადი სტრუქტურულ ერთეულის ინფრასტრუქტურის განყოფილების, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსს სპეციალისტს (წამყვან სპეციალისტს) აქვს მუშაობის დატვირთული გრაფიკი. შესაბამისად

ითხოვს მოხელის კარიერულ განვითარებას (იმავე იერარქიულ რანგში დაბალი თანამდებობიდან მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა) და აღნიშნული სამტატო პოზიციის შეცვლას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი) პოზიციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის იურიდიული სამსახურის მიერ, მომზადდა „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურათა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და დასახელებული ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, რაც განხორციელდება 2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ელიკო იმნაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 444
17/04/2018

444-09-3-201804171631



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის

უფროსის ლევან ჩხაიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში არის ინფრასტრუქტურის განყოფილება, რომელშიც შედის სამი მთავარი სპეციალისტის და ერთი წამყვანი სპეციალისტის პოზიცია.

სამუშაოს დატვირთული მუშაობის გრაფიკიდან გამომდინარე, წამყვან სპეციალისტს დამატებითი სამუშაოს შესრულება უწევს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მისი სამუშაო აღწერილობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, წამყვანი სპეციალისტის საშტატო პოზიციის გარდაქმნას მთავარი სპეციალისტის საშტატო ერთეულად.

პატივისცემით,

ლევან ჩხაიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

2018 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების

**შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2018 წლის -----ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილების (ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016320) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ შევიდეს ცვლილება, კერძოდ „პირველადი სტრუქტურული ერთეულის (სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური)“ „მეორადი სტრუქტურული ერთეულის (ინფრასტრუქტურის განყოფილება)“ ცხრილიდან ამოღებულ იქნას მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (წამყვანი სპეციალისტი) ერთი საშტატო ერთეული, „პირველადი სტრუქტურული ერთეულის (სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური)“ „მეორადი სტრუქტურული ერთეულის (ინფრასტრუქტურის განყოფილება) მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი) გრაფას დაემატოს 1 (ერთი) საშტატო ერთეული და გრაფის საშტატო ერთეულის რაოდენობა განისაზღვროს 4 (ოთხი) ერთეულით. „პირველადი სტრუქტურული ერთეულის (სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური)“ ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეული	10	
სამსახურის უფროსი პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1500
სივრცითი მოწყობის განყოფილება მეორადი სტრუქტურული ერთეული	4	
განყოფილების უფროსი მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1200
მთავარი სპეციალისტი მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	800
წამყვანი სპეციალისტი მესამე რანგი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	700

ინფრასტრუქტურის განყოფილება მეორადი სტრუქტურული ერთეული	5	
განყოფილების უფროსი მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1200
მთავარი სპეციალისტი მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	800

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 454
18/04/2018

454-09-3-201804181256



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
იურიდიული სამსახურის უფროსს
ბატონ შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა,

თქვენი მიმდინარე წლის 18 აპრილის N452 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელება დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ფინანსურად შესაძლებელია.

პატივისცემით,

თამაზ იმედაიშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური